დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ132. 1322306124**

თარიღი:**02/03/2023**

მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფის შექმნის და მისი შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი წარმოადგენს კარგი მმართველობის განხორციელების ერთ-ერთ წინაპირობას. ის ხელს უწყობს ინკლუზიურ დემოკრატიას, იწვევს საჯარო სექტორის მოდერნიზაციას, თვითმმართველობის ორგანოების ანგარიშვალდებულების ზრდას, წარმოადგენს მუნიციპალიტეტსა და მოსახლეობას შორის დემოკრატიული დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან საშუალებას.

დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის პრიორიტეტს წარმოადგენს ბიუჯეტის შედგენის, მისი განხილვის და დამტკიცების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით სასურველია გამოყენებული იქნეს როგორც არსებული, კანონისმიერი მექანიზმები, ასევე დიალოგის და თანამონაწილეობის ახალი, ინოვაციური ფორმები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“, „გ.ა“, „ე.ვ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეიქმნას მონაწილეობითი ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვასილ წიკლაური, მერის პირველი მოადგილე, ჯგუფის უფროსი;

ბ) დავით შაბურიშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

გ) სოსო ღარიბაშვილი, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

დ) თამილა ნადირაშვილი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, ჯგუფის წევრი;

ე) თინათინ ცოცხალაშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის საინფორმაციო განყოფილების უფროსი, ჯგუფის წევრი;

ვ) ხატია პირმისაშვილი, მერის თანაშემწე, ჯგუფის წევრი;

ზ) მედეა მხეიძე, მოწვეული სპეციალისტი მუნიციპალური საწარმოების რეორგანიზაცია-ლიკვიდაციის და გაკოტრების საკითხებში, ჯგუფის წევრი;

თ) სოფიო გელიაშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში , ჯგუფის წევრი;

ი) მარიამ ავლახაშვილი, სოციალური მუშაკი, ჯგუფის წევრი;

კ) ნინო ჭინჭარაშვილი, ფსიქოლოგი, ჯგუფის წევრი;

ლ) მარიამ ქურციკიძე, სპეციალისტი - მდივან-რეფერენტი, ჯგუფის წევრი;

2. სამუშაო ჯგუფის ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობასა და თვითმმართველობას შორის ღია დიალოგის ხელშეწყობა, საბიუჯეტო პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ზრდა, პრიორიტეტების შერჩევაში მონაწილეობა, საბიუჯეტო პროგრამების და ქვეპროგრამების თაობაზე წინადადებების და მოსაზრებების წარმოდგენა;

3. ბრძანება გაეცნოს პირველ პუნქტში მითითებულ პირებს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17.

მანანა ნარიმანიძე

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი